



**„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ-5“**  
**ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში**  
**2014 წ. 16-28 ივნისი**

**ზოგადი ინფორმაცია:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი ატარებს ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ-5“. სკოლა გაიმართება 2014 წლის 16 – 28 ივნისს.

**პირობებები:** განაცხადის საფუძველზე, სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ მოსწავლეებს მე-6-დან მე-12 კლასის ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 2014 წ. 13 ივნისს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე თსუ მე-11 კორპუსში **433 აუდიტორიაში**, რომლის შედეგად შეირჩევა 4 ასაკობრივი (თითოეული 10-მდე მოსწავლისაგან შემდგარი) ჯგუფი.

**მიზანი:** პროექტი „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ განაპირობებს ორ კვირიან ვადაში მოსწავლეებისათვის მათემატიკურ დისციპლინებში დონის ამაღლებას, ითვალისწინებს გამორჩეული მოსწავლეებისაგან გამოყოფილი ჯგუფისათვის გამოყენებით მათემატიკაში ყოველკვირეული შეკრება-ლექციების გამართვასა და ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრების ორგანიზებას. შემოადინიშნულის განხორციელება ნავარაუდევია არამარტო საქართველოს, არამედ მეზობელი სახელმწიფოების მოსწავლეებისთვისაც, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის ადრეული ასაკიდან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

**პროგრამა:** პროგრამა შედგება 6 ნაწილისაგან: 0) გაეცანი, 1) მოუსმინე, 2) გაიმეორე-იმსჯელე, 3) შეისვენე, 4) ცოდნა გაუზიარე, 5) ითამაშე-გამოიყენე. თითოეული ითვალისწინებს:

- 0) **გაეცანი**  
წინასწარ დაგეგმილი მასალის გაცნობას,
- 1) **მოუსმინე**  
ლექტორებთან შეხვედრასა და წარმოქმნილი დეტალების დაზუსტებას,
- 2) **გაიმეორე-იმსჯელე**  
ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად თვალსაჩინო სავარჯიშოებისა და მაგალითების განხილვას,
- 3) **შეისვენე**  
შესვენებას კვებით (კვებას, როგორც წესი, უზრუნველყოფს მშობელთა კომიტეტი),
- 4) **ცოდნა გაუზიარე**  
მოსწავლეთა მიერ მოსმენილი მასალის ურთიერთგაზიარებას ჯგუფის ხელმძღვანელისა და ლექტორის მეთვალყურეობით,
- 5) **ითამაშე-გამოიყენე**  
სპორტის, ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით პრაქტიკული ღონისძიების ჩატარებას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს:

- ექსკურსიებს როგორც თბილისში, ასევე (შესაძლებლობის ფარგლებში) თბილისის გარეთ,
- კონცერტებს კლასიკურ, ხალხურ და ჯაზურ მუსიკაში,
- წინასწარ შეთანხმებულ ოჯახებში წადკის მუნიციპალიტეტიდან აჭარულ ეკომიგრანტ მოსწავლეთა მიღება-მასპინძლობას თბილისში.

**მშობელთა შეკრება:** გასაუბრების შედეგად შერჩეულ მოსწავლეთა მშობლების აუცილებელი შეკრება შედგება თსუ მე-11 კორპუსში **010 აუდიტორიაში** 14 ივნისს შაბათს 13:00 სთ-ზე.

## ლექციები და მეცნიერები:

	საღმკვლიო თემები	ლექტორები	ასისტენტები
1	ფუნქციონირება თეორიისა და მიახლოებითი ანალიზის ელემენტები	პროფ. თამაზ ვაშაყმაძე	ბ-ნი იუსუფ ფ. გიულვერი
2	სახალისო მათემატიკა	პროფ. თენგიზ მეუნარგია	ბ-ნი არჩილ კვინიკაძე
3	რიცხვითი განტოლების მიახლოებითი ამოხსნა	პროფ. თემურ ჯანგვალაძე	ბ-ნი მიხეილ გაგოშიძე ბ-ნი მამუკა ზაუტაშვილი
4	კომპლექსური რიცხვები და გამოყენება	პროფ. გრიგორ გიორგაძე	დოქტ. ვალერიან ჯიქია
5	მათემატიკური ლოგიკის ელემენტები	პროფ. სიმურ რუხაია	დოქტ. ლალი ტიბუა
6	ფიზიკა-მათემატიკური მოდელები გეოფიზიკაში-კონვექციური მოძრაობა	პროფ. ანზორ გველესიანი	ქ-ნი ჟანა ბოლქვაძე
7	ვინდოუსსა და ინტერნეტში მუშაობა	პროფ. ჯემალ ანთიძე	ბ-ნი ირაკლი ქარდავა ბ-ნი გიორგი გაბუნია
8	გეოგრაფია	დოქტ. გიორგი დვალაშვილი	ბ-ნი ნიკა წითელაშვილი
9	ეკოლოგიური მეტეოროლოგია	დოქტ. გიორგი გელაძე	ბ-ნი არჩილ კვინიკაძე
10	ენის ცოდნისათვის	პროფ. ქეთევან გონიტაშვილი პროფ. მარიამ მანჯგალაძე	-
11	„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ (ზოგადი მიმოხილვა)	პროფ. თამაზ ვაშაყმაძე პროფ. თენგიზ მეუნარგია პროფ. ჯონდო შარიქაძე პროფ. გურამ გაბრიჩიძე პროფ. ანზორ გველესიანი	-

## თამაშის სახეობები:

	სახეობები	ხელმძღვანელები
1	მათემატიკური თამაშები	ბ-ნი მიხეილ გაგოშიძე ბ-ნი მამუკა ზაუტაშვილი ბ-ნი არჩილ კვინიკაძე
2	ჭადრაკი	ქ-ნი ნანი ბალახაძე
3	ორიგამი	ბ-ნი გიორგი თუთბერძე
4	კომპიუტერული დიზაინი	ქ-ნი ქეთი ვახანია
5	ახალგაზრდა ხელოვანთა საათი	ქ-ნი მერი ბიწაძე
6	სპორტული თამაშები და ფარიკაობა	ბ-ნი იუსუფ ფ. გიულვერი

**საკონსულტაციო კომიტეტი:** პროფ. გურამ გაბრიჩიძე, პროფ. თამაზ ვაშაყმაძე, პროფ. ანზორ გველესიანი, პროფ. ომარ ფურთუხია, პროფ. ქეთევან ჭკუასელი, პროფ. ეთერ ღვინერია, ასოც. პროფ. ჩაღღარ ჩეთინკაია, დოქტ. მარინა ლომოური.

**განაცხადი:** განაცხადი მოგვაწოდეთ 2014 წლის 28 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით სამუშაო დღეებში 14:00-საათიდან 17:00 საათამდე მისამართზე: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსი **307 აუდიტორია**, უნივერსიტეტის ქ. (მადლივი კორპუსის მოპირდაპირე განივი კორპუსი), თბილისი. განაცხადის (სკანირებული) ფორმის გამოგზავნა რეგიონებიდან შესაძლებელია ელექტრონულად მისამართით: [informtb@gmail.com](mailto:informtb@gmail.com)

საკონტაქტო პირი : ქ-ნი ჟანა ბოლქვაძე (557 66 64 51)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი

**ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში**  
16-28 ივნისი 2014 წ.

**„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“**

**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:** 2014 წლის 12 ივნისი ხუთშაბათი  
**ყურადღება:** გასაუბრება გაიმართება 2014 წ. 13 ივნისს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე  
თსუ მე-11 კორპუსის **433 აუდიტორიაში** (თსუ მაღლივ კორპუსის მოპირდაპირედ)

## განცხადება

სახელი და გვარი: .....

კლასი: .....

საშუალო ქულა მათემატიკაში (დამოწმებული სკოლის დირექტორის მიერ): .....

სახლის მისამართი: .....

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): .....

სკოლის დასახელება .....

მშობლის/მეურვის სახელი და გვარი: .....

სახლის ტელეფონის ნომერი: .....


მობ. ტელეფონის ნომერი: .....

ელექტრონული ფოსტა: .....

მშობლის/მეურვის ხელმოწერა: .....

რა მიზნით მოდიხართ?

\*\* პროგრამაში „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად მიიღებენ 2014 წლის 13 ივნისს საღამოს!



## მასპინძლის განაცხადის ფორმა

მშობლების/მეურვის პროფესია:

დედა: .....

მამა: .....

ჩამოსული მოსწავლის სტუმრად მიღების მზადყოფნა :

დიახ: .....

არა: .....

რომელ ენებს ფლობთ (გარდა ქართულისა): .....

მოკლედ აღწერეთ მოსწავლისათვის (სტუმრისათვის კახიდან) შესაძლო შეთავაზებული პირობები:

\*\*\* შესაძლებელია არსებული სიტუაციის გაცნობის მიზნით მასპინძელ ოჯახში საორგანიზაციო კომიტეტის წევრების ვიზიტიც.